

ვებ პორტალი, 110408021, 12.04.2011
სარეგისტრაციო კოდი
040030000.22.054.016012

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის
ბრძანება №3/72
2011 წლის 7 აპრილი ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების
თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებაში ცვლილებისა
და დამატებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით (სსმ III, 08. 08. 2006 წ., №105, მუხ. 1435) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები:

1. დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ეროვნული კინოცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0105 ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო №4.“.

2. დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს¹“, „ს²“, „ს³“ და „ს⁴“ ქვეპუნქტები:

„ს¹) ხელი შეუწყოს კინოს სფეროში მოღვაწე პირთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

ს²) ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შემოიღოს ნომინაციები სხვადასხვა კონკურსებისთვის;

ს³) განახორციელოს კინოს სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული კინოცენტრის ფუნქციონირებას;

ს⁴) გამოსცეს პერიოდული გამოცემები;“.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. რურუა